

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2022 წლის 12 დეკემბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზ ირემაძე

დანართი

თავი I

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	23 107 013	30 520 424	37 474 510	37 474 510	0
გადასახადები	14 530 620	17 560 000	20 717 300	20 717 300	0
გრანტები	6 389 767	9 813 326	13 400 000	13 400 000	0
სხვა შემოსავლები	2 186 626	3 147 098	3 357 210	3 357 210	0
ხარჯები	14 632 007	18 270 597	21 867 856	21 867 856	0
შრომის ანაზღაურება	2 043 763	2 301 094	2 993 172	2 993 172	0
საკონელი და მომსახურება	1 978 707	2 745 452	2 774 720	2 774 720	0
სუბსიდიები	8 098 931	9 310 367	12 791 176	12 791 176	0
სოციალური უზრუნველყოფა	1 734 324	2 511 451	2 514 936	2 514 936	0
სხვა ხარჯები	776 282	1 402 233	793 852	793 852	0
საოპერაციო სალდო	8 475 006	12 249 827	15 606 654	15 606 654	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 131 429	13 856 191	15 711 186	15 711 186	0



ზრდა	8 139 387	13 856 191	15 711 186	15 711 186	0
კლება	7 958	0	0	0	0
მთლიანი სალდო	343 577	-1 606 364	-104 532	-104 532	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	343 577	-1 606 364	-104 532	-104 532	0
ზრდა	343 577	0	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	343 577	0	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0	0	0
კლება	0	1 606 364	104 532	104 532	0
ვალუტა და დეპოზიტები	0	1 606 364	104 532	104 532	0
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0	0	0
ზრდა	0	0	0		
კლება	0	0	0	0	0
საშინაო	0	0	0	0	0
ბალანსი	0	0	0	0	0

მუხლი 2. ხელვაჩაურიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	23 114 971	30 520 424	37 474 510	37 474 510	0
შემოსავლები	23 107 013	30 520 424	37 474 510	37 474 510	0
არაფინანსური აქტივების კლება	7 958	0	0	0	0
გადასახდელები	22 771 394	32 126 788	37 579 042	37 579 042	0
ხარჯები	14 632 007	18 270 597	21 867 856	21 867 856	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 139 387	13 856 191	15 711 186	15 711 186	0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	0	0	0	0	0



ნაშთის ცვლილება	343 577	-1 606 364	-104 532	-104 532	0
-----------------	---------	------------	----------	----------	---

თავი II

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

მუხლი 3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 37 474 510ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	23 107 013	30 520 424	37 474 510	37 474 510	0
გადასახადები	14 530 620	17 560 000	20 717 300	20 717 300	0
გრანტები	6 389 767	9 813 326	13 400 000	13 400 000	0
სხვა შემოსავლები	2 186 626	3 147 098	3 357 210	3 357 210	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 20 717 300 ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	14 530 620	17 560 000	20 717 300	20 717 300	0
დამატებული ღირებულების გადასახადი	9 617 127	12 570 000	15 717 300	15 717 300	
ქონების გადასახადი	4 913 493	4 990 000	5 000 000	5 000 000	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 044 538	4 223 000	4 133 000	4 133 000	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	73 416	50 000	73 000	73 000	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	76 669	42 000	76 000	76 000	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	718 870	675 000	718 000	718 000	



მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 13 400 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	6 389 767	9 813 326	13 400 000	13 400 000	0
უცხოური სახელმწიფო მთავრობებიდან მიღებული გრანტები		229 959	0	0	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	5 054 794	8 179 558	12 300 000	12 300 000	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი+ (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	906 164	0	0	0	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	303 249	520 000	1 100 000	1 100 000	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	125 560	883 809	0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	125 560	883 809	0	0	0
მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მგფ	125 560	883 809	0	0	0

მუხლი 6. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 357 210 ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	2 186 626	3 147 098	3 357 210	3 357 210	0
შემოსავლები საკუთრებიდან	317 556	320 953	207 344	207 344	0
პროცენტები	157 638	191 268	70 344	70 344	0
დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	157 638	191 268	70 344	70 344	0
რენტა	159 918	129 685	137 000	137 000	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	72 311	40 600	45 000	45 000	0



შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	87 607	89 085	92 000	92 000	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 244 743	1 913 573	2 320 866	2 320 866	0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 211 065	1 773 573	2 180 866	2 180 866	0
სანებართვო მოსაკრებელი	26 684	37 175	105 000	105 000	0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	26 684	37 175	105 000	105 000	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	200	1 400	1 400	1 400	0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 143 662	1 695 983	2 034 966	2 034 966	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	40 506	39 000	39 500	39 500	
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	13	15	0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	33 678	140 000	140 000	140 000	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	33 678	140 000	140 000	140 000	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	483 355	740 725	737 000	737 000	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	140 972	171 847	92 000	92 000	

თავი III
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
21 867 856ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	14 632 007	18 270 597	21 867 856	21 867 856	0
შრომის ანაზღაურება	2 043 763	2 301 094	2 993 172	2 993 172	0
საქონელი და მომსახურება	1 978 707	2 745 452	2 774 720	2 774 720	0
სუბსიდიები	8 098 931	9 310 367	12 791 176	12 791 176	0



სოციალური უზრუნველყოფა	1 734 324	2 511 451	2 514 936	2 514 936	0
სხვა ხარჯები	776 282	1 402 233	793 852	793 852	0

მუხლი 8. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15 711 186ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15 711 186 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	11 870	499 466	436 940	436 940	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 880 512	7 296 617	12 500 000	12 500 000	0
დასუფთავება და გარემოს დაცვა	50 400	100 000	0	0	
განათლება	1 444 380	1 102 968	2 772 246	2 772 246	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	245 548	168 136	2 000	2 000	0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 506 677	4 689 004	0	0	0
სულ ჯამი	8 139 387	13 856 191	15 711 186	15 711 186	0

ბ) განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარისდენობით, მათ შორის:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	7,958	0	0	0	0
ძირითადი აქტივები	11,811	0	0		



არაწარმოებული აქტივები	-3,853	0	0	0	0
მიწა	-3,853	0	0		0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 37 579 042 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კლას. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
		სულ	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 076 734	4 978 634	6 414 895	6 414 895	0
7,11	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 076 734	4 978 634	6 354 895	6 354 895	0
7,111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 076 734	4 587 087	5 949 895	5 949 895	0
7,112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	391 547	405 000	405 000	0
7,2	თავდაცვა	72 670	66 890	113 145	113 145	0
7,21	სამოქალაქო თავდაცვა	72 670	66 890	113 145	113 145	0
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	981 555	2 412 441	5 300 000	5 300 000	0
7,42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	329 550	330 000	0	0	0
7,421	სოფლის მეურნეობა	329 550	330 000	0	0	0
7,45	ტრანსპორტი	652 005	2 082 441	5 300 000	5 300 000	0
7,451	საავტომობილო ტრანსპორტი	652 005	2 082 441	5 300 000	5 300 000	0
7,5	გარემოს დაცვა	1 688 157	1 714 671	1 587 074	1 587 074	0
7,51	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	441 212	491 011	559 674	559 674	0
7,56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 246 945	1 223 660	1 027 400	1 027 400	0
7,6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 223 905	7 543 614	10 614 214	10 614 214	0
7,62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	257 408	1 938 264	5 700 000	5 700 000	0
7,63	წყალმომარაგება	2 010 067	3 191 674	2 040 392	2 040 392	0
7,64	გარე განათება	415 932	833 890	550 000	550 000	0



7,66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 540 499	1 240 657	1 554 970	1 554 970	0
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	675 051	1 350 138	1 281 690	1 281 690	0
7,76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	675 051	1 350 138	1 281 690	1 281 690	0
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 313 469	1 705 756	1 849 650	1 849 650	0
7,81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	381 862	389 541	194 270	194 270	0
7,82	მომსახურება კულტურის სფეროში	913 787	1 295 215	1 610 180	1 610 180	0
7,86	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	17 820	21 000	45 200	45 200	0
7,9	განათლება	5 933 928	6 420 126	9 126 178	9 126 178	0
7,91	სკოლამდელი აღზრდა	4 170 232	4 886 032	5 647 620	5 647 620	0
7,92	ზოგადი განათლება	0	117 302	700 000	700 000	0
7,98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 763 696	1 416 792	2 778 558	2 778 558	0
7 10	სოციალური დაცვა	4 805 925	5 934 518	1 292 196	1 292 196	0
7 107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	116 631	121 908	171 696	171 696	0
7 109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4 689 294	5 812 610	1 120 500	1 120 500	0
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		22 771 394	32 126 788	37 579 042	37 579 042	0

თავი IV

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანსაღდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი საღდო,

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი საღდო – 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 0 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა – 0 ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 0 ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ფინანსური აქტივების ცვლილება	343,577	-1,563,464	0	0	0



ზრდა	343,577	42,900	0	0	0
ვალუტა, დეპოზიტები	343,577	0	0		
აქციები და სხვა კაპიტალი	0	42,900	0		
კლება	0	1,606,364	0	0	0
ვალუტა, დეპოზიტები	0	1,606,364	0		

მუხლი 12. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 0 ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
33	ვალდებულების ცვლილება	0	0	0
ზრდა				
სესხები				
კლება		0	0	0
სესხები				

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელის დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 400000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

თავი V

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება; (01 00)

- ინფრასტრუქტურა; (02 00)
- დასუფთავება და გარემოს დაცვა; (03 00)
- განათლება; (04 00)
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; (05 00)
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; (06 00)

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და



ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთპროგრამებს და ქვეპროგრამებს რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, 1. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 2. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 3. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 4. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 5. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების პროგრამა

მიზანი

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

აღწერა

საბიუჯეტოს პროცესში გაიზარდა მოსახლეობის ჩართულობის და პროცესების გამჭვიდვალობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის მნიშვნელოვანი როლი მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვამ განაპირობა, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება და აქტივების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის შეფასება, მოსახლეობის ჩართულობისა და გამჭვირვალე პროცესების წარმართვისათვის შეიქმნება და დაინერგება მდგრადი სისტემა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
I	01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6 523 040
1	01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 063 040
-	01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 023 274
-	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4 926 621
-	01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	113 145
2	01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	460 000
-	01 02 01	სარეზერვო ფონდი	400 000
-	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	60 000



ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
II	02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	15 919 214
	02 01 00	ა(ა)იპ მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	768 852
1	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	5 300 000
1.1	02 01 01	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია მათ შორის:	1 000 000
		სოფელ კაპრეშუში პოპოვის სამანქანე გზიდან სასაფლაოებისკენ შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	146 317
		სოფელ სალიბაურში გია გორგაძის საცხოვრებელი სახლიდან ნოდარ დიასამიძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	82 101
		სოფელ სალიბაურში ასლან მარკოიძის საცხოვრებელი სახლიდან მარინა ბერიძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	82 805
		სოფელ წინსვლაში (ჩელტა) სასაფლაოებიდან ბექა ხინიკაძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის და გარე განათების მოწყობა	61 540
		სოფელ ჭარნალში საგინაძეების დასახლებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	89 998
		სოფელ ახალსოფელში ბაბაღე შარაძის საცხოვრებელი მერაბ შარაძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	45 214
		სოფელ ზედა ჯოჭოში თეიმურაზ კახიძის საცხოვრებელი სახლიდან თამაზ დოლიძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	117 598
		სოფელ განახლებაში ფარტენაძეების დასახლებიდან ნუკრი შარაძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	58 678
		სოფელ ახალშენის მეურნეობაში როსტომ ქამადაძის საცხოვრებელი სახლიდან იოსებ სოლომონიძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	33 848
		სოფელ ახალშენის მეურნეობაში გოჩა უშარიძის საცხოვრებელი სახლიდან ნუგზარ შარაშიძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	32 911
		სოფელ თხილნარში მურმანეთის გადასახვევიდან მურმან დუმბაძის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	154 204
		სოფელ მახოში ქოქოლაძეებისა და კახიძეების დასახლებაში	



		შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.	169 974
02 01 14		სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა (მათ შორის)	4 300 000
1		სოფელ მარადიდში ნაჯათ მუთიდის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	68183,52
2		სოფელ კირნათში გურამ კახაბერიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	26936
3		სოფელ მახინჯაურში გოჩა ჯიჯავამის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	61028,74
4		სოფელ განთიადში თემურ კონცელიძის საცხოვრებელი სახლის მიმართულელებით შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	86818
5		სოფელ განთიადში ლიანა დევამის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის გაბიონის მოწყობა	11968,39
6		სოფელ მახინჯაურში მალხაზ ბერიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	55815,3
7		სოფელ ერგეში (კაპანდიბი) როინ გვიანიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	80953,31
8		სოფელ ზანაქიძეებში კახაბერ ფარტენაძის მიწის ნაკვეთის ბოლოს, რემზი ფარტენაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	67222,01
9		სოფელ ხელვაჩაურში აკაკი აბესაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	20703
10		სოფელ ქვედა ჯოჭოში ლაშა თედორაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	40618
11		სოფელ მახვილაურში რომან ვარშანიძის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა	47221,6
12		სოფელ ზანაქიძეებში ნოდარ გორაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	49632
13		სოფელ ზანაქიძეებში მალხაზ შარაშიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	50600
14		სოფელ ერგეში ოსმან დოლიძის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	54254



15	სოფელ ხელვაჩაურში (ვარშალომიძეები) სულიკო ვარშალომიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	36843,3
16	სოფელ ზანაქიძეებში ჯემალ დუმბაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	52970,38
17	სოფელ მახვილაურში, ილია თურმანიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	40596,84
18	სოფელ მახოში მაია მუთიდის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	70018,08
19	სოფელ თხილნარში გურგენ ფარტენაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	70492,12
20	სოფელ თხილნარში (მურმანეთი) ზვიად მიქელაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	60040,56
21	სოფელ მახოში ნათელა დუმბაძის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე გაბიონის მოწყობა	62441
22	სოფელ მახოში ლია გოგიძის, თენგიზ გოგიძის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა	26717
23	სოფელ მახოში თამარ შაინიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი გაბიონის მოწყობა	8849
24	სოფელ მახოში ზაურ მორთულაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	20703
25	სოფელ მახოში ემზარ კახიძის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	21319
26	სოფელ თხილნარში ჯამბულ შარაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი გაბიონის მოწყობა	19853
27	სოფელ თხილნარში(აგარა) ნოდარ დიასამიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის და გაბიონის მოწყობა	50353
28	სოფელ ზედა თხილნარში, დურმიშხან დუმბაძის სახლის მიმართულებით შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	14747,35
29	სოფელ მახოში ანა თურმანიძის, შოთა გაბაიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	37157,89
30	სოფელ მახოში, მერაბ კაკალაძის (არჩილ კაკალაძე) საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი გაბიონის მოწყობა	13904,36
31	სოფელ ომბოლოში ოთარ პატარიძის საცხოვრებელი სახლთან შიდა სასოფლო	21355,56



	გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	
32	სოფელ ახალსოფელში შალვა ფუტკარაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	11984,55
33	სოფელ ახალშენში ხარიტონ აბესლამიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	60543
34	სოფელ ახალშენში ანზორ ვასაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	52963
35	სოფელ ახალშენის მეურნეობაში თემურ დავლაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	16524
36	სოფელ ახალშენში (ჯიბინაური) ბეგლარ დავითაძის საცხოვრებელი სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	45710
37	სოფელ განახლებაში,მერაბ ჯიხაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	24227,07
38	სოფელ განახლებაში,გელა სურმანიძის საცხოვრებელ სახლთან „ახალშენი-განახლება,, შიდა სასოფლო გზაზე, ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	41401,19
39	სოფელ ახალშენის მეურნეობაში,ანზორ თავლაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	21487,58
40	სოფელ ზედა ახალშენში, ადამ მახარაძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე ფერდსამაგრი გაბიონის კედლის მოწყობა	16149,5
41	სოფელ მნათობში როლანდ ცენტერაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	142732,48
42	სოფელ ფერიაში,თენგიზ აბაშიძის საცხოვრებელ სახლთან,შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	16583,18
43	სოფელ სამებაში ნიაზ ხარაძის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა	30580
44	სოფელ სამებაში დარეჯან ქადეიშვილის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	11626
45	სოფელ ქვედა სამებაში,დავით მალაყმაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი გაბიონის მოწყობა	40452,67
46	სოფელ ქვედა სამებაში ჯაბა კახიძის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	69861,01
47	სოფელ განახლებაში გიორგი ხალითბას საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	55008
	სოფელ ახალშენში მიქელაძეების უბანში მინდია დევაძის საცხოვრებელ სახლთან	



48	ფერდამცავი კედლის მოწყობა	68735,22
49	სოფელ ხელრუში დავით ხაბაძის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა	59667
50	სოფელ ახალშენის მეურნეობაში თემურ შავაძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობა	27933
51	სოფელ ზედა ახალშენში ოთარ ფოთელიძის, რომან ფოთელიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი გაბიონის მოწყობა	76379
52	სოფელ ორთაბათუმში კახაბერ ჩხაიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობა	79060,16
53	სოფელ წინსვლაში ომარ ასანიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობა	88641,81
54	სოფელ ორთაბათუმში ციური შარაშიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის და გაბიონის მოწყობა	49745
55	სოფელ ორთაბათუმში რუსლან ცენტერაძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელ გზაზე ფერდამცავი კედლის მოწყობა	48539
56	სოფელ ორთაბათუმში (აგარა) არჩილ ფაღავას საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდამცავი კედლის მოწყობა	61111
57	სოფელ ორთაბათუმში სულხან ბაკურიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი გაბიონის მოწყობა	14158,73
58	სოფელ წინსვლაში (ჩელტა) აკაკი მამუქაძის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდამცავი გაბიონის მოწყობა	49510,52
59	სოფელ ზედა აგარაში ჟუჟუნა ვარშანიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი მოწყობა	52643,93
60	სოფელ წინსვლაში რუსუდან ჩავლეიშვილის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები	162274,37
61	სოფელ კაპრეშუმში მურად დევაძის საცხოვრებელ სახლთან შიდა სასოფლო გზაზე ფერდამცავი გაბიონის მოწყობა	24816
62	სოფელ კაპრეშუმში რომან თურმანიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობა	20168,11
63	სოფელ სალიბაურში „ბართოლომის სირთის“ მიმართულებით მიმავალ შიდა სასოფლო გზაზე ფერდამცავი გაბიონის მოწყობა	33513
64	სოფელ ორთაბათუმში ავთანდილ დოლიძის , თორნიკე დოლიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი კედლის მოწყობა	36843
	სოფელ კაპრეშუმში ლილი ტაკიძის საცხოვრებელ სახლთან ფერდამცავი	



65		გაბიონის მოწყობა	16287,47
66		სოფელ წინსვლაში,ჯუმბერ კონცელიძის საცხოვრებელ სახლთან, შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	11626,25
67		სოფელ წინსვლაში მანანა ხაჯიშვილის საცხოვრებელ სახლთან ფერდსამაგრი გაბიონის კედლის მოწყობა	15740,68
68		სოფელ ყოროლისთავში ნუგზარ როდინაძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ შიდა სასოფლო გზაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობა	122424,74
69		გამოსაცხადებელი ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა	1172033,47
2	02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	2 590 392
2.1	02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	2 040 392
2.2	02 02 01 03	შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალი“	1 340 392
2.3	02 02 01 12	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის რეზერვუარების მოწყობა რეაბილიტაცია მათ შორის:	700 000
		სოფელი მახო სიმონეთი სასმელი წყლის რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა	209997
		სოფელი მასაურაში სასმელი წყლის რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა	537840
2.14	02 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	550 000
2.15	02 02 02 01	გარე-განათების ქსელის მოვლა ექსპლოატაცია	550 000
3	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	5 700 000
3.1.	02 03 04	სოციალური სახლის მშენებლობა	4 000 000
3.2.	02 03 08	საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთება გადახურვა (ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა)	200 000
3.3	02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 500 000
3.3.1.	02 03 07	სოფლის ცენტრებში სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა (სოფ.კირნათში სკვერის მოწყობა)	1 500 000
4	02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	1 020 000
4.1.	02 04 01	აუდიტის მომსახურები ხარჯები	5 000
4.2.	02 04 02	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომებით)	15 000



		ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	
4.3.	02 04 03	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	1 000 000
5	02 05	ააიპ ხელვაჩაურის სასაფლაოები	539 970

2. ინფრასტრუქტურა(პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვა დარგების განვითარებას.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის პროგრამა

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 40 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს. განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

2.2. წყალმომარაგების უზრუნველყოფის განვითარება

პროგრამის მიზანი: წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა, მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ხელვაჩაურის წყალი რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. სულ მუნიციპალიტეტში 76-აუზია 3900კმ მაგისტრალის ოდენობით რასაც საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი.

2.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამა/ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის აღწერა: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია - დახარჯული ელექტროენერჯიის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა პატრონობის ხარჯები. დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგლებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის – 4504 წერტის ექსპლოატაცია.



2.4 მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის არსებული შენობების მდგრადობა და დანიშნულებისამებრ ექსპლუატაცია.

პროგრამის აღწერა: განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (მათ შორის თემის წარმომადგენლების შენობები, და სხვა.) ასევე იგეგმება მოსახლეობის ჩართულობის დახმარებით თემში ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია.

2.5 კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის არსებული სივრცეების მოწესრიგება რეაბილიტაცია, რათა მოსახლეობას მიეცეს სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცეების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვა			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
III	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,587,074
1	03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1,587,074
1.1	03 01 01	ააიპ „ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“	1,027,400
1.2	03 01 02	სანიტარული დასუფთავება	559,674

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2023-2026 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში მომსახურეობას ახორციელებს შპს სანდასუფთავება. ხოლო აღსრულების კუთხით ჩართულია ააიპ „გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“.



3.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დამატებითი ურნებისა შესყიდვა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლება			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
IV	04 00	განათლება	8 490 866
1	04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	5 647 620
1.1.	04 01 01	ააიპ ხელვაჩაურის ბაღების გაერთიანება	5 647 620
2	04 01 02	საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	2 072 246
2.1.	04 01 01	საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია (სოფ. ახალსოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა)	1 500 000
	04 01 02 03	სოფელ ახალსოფელში საბავშვო ბაღის შენობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები	258 200
	04 01 02 04	ხელვაჩაურის N1 საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები	314 046
3	04 02	სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები	771 000
3.1	04 02 01	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა და სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა	71 000
3.2	04 02 02	სკოლების მშენებლობა რემონტი	700 000
	04 02 02 01	დაწყებითი სკოლების მოწყობა რეაბილიტაცია მათ შორის:	700 000
		სოფელ მასაურას დაწყებით სკოლის მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	552104
		სოფელ შუა მახინჯაურის დაწყებითი სკოლის რემონტი	61152
		სოფელ ზედა ახალმენი.(ხელრუ) დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია	

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება



სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შეიქმნილი სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

4.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა

პროგრამის აღწერა: პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის

განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა, ბავშვების სხვადასხვა სოფლებიდან ტრანსპორტირება.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

5.1 სპორტის სფეროს განვითარება

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია



პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას - პოპულარიზაციას, საქართველოს ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მშენებლობა. მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობას.

პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება, სპორტსკოლის საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკვიპირებით უზრუნველყოფა. სპორტის სხვადასხვა სახეობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

5.2 კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
V	05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 484 962
1	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	829 582
1.1.	05 01 01	ა(ა)იპ ხელგაზრდის სასპორტო სკოლა	635 312
1.2.	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მზარდაჭერა	22 500
1.3.	05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მზარდაჭერა	171 770
1.3.1.	05 01 03 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	171 770



2	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1 610 180
